ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 286

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის №180-ში, საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ.) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის №117 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 24 სექტემბრის №20.1114.1372 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის №180-ში, საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ.) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის №117 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული №01202462466-67 განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე



ტერიტორიის შართობი	შუნკციური ზონა	მაქსიმალური სართულიანობა	მაქსიმალური სიმაღლე	შენობის განთავსების რეჟიმი	დასაშვები სახეობა	სამშენებლოდ გამოყენების სტატუსი	გაყოფა/ გაერთიანება	განაშენიანების ქ1 კოეფიციენტი	განაშენიანების ქ2 კოეფიციენტი დადგენილი	განაშენიანების ქ3 კოეფიციენტი	საპროექტოდ გათვალისწინებული ავტოსადგომების რაოდენობა	ქ-39-00 გათვალისწინებული ნაკვეთის მინიმალური ფართობი
8854 მ²	სხზ-2	5 მიწისზედა სართული	34.2მ	განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი	საკაჭრო ცენტრი	სამშენებლო	დაშვებულია	0.7	4.6	0.2	126	700 მ²
		პროექტით გათვალისწინებული						პროექტით გათვალისწინებული				
		5 მიწისზედა სართული	31.0 მ					0.5	2.5	0.2		

ფორმატი A3

თბილისი 2020

ექსპლიკაცია

- დაპროექტებული შენობა
- საზღვაგადოებრივ საქმიანი ხაზი 2
- საპროექტო საკადასტრო საზღვრები
- UTM სისტემის კოორდინატია ბაღი
- გამწვანებაა
- მოპირკეთება წყალგამტარი ფილებით

პირ. ნიშნები

ქ1 მიმღი ტერიტორიისთვის 4860 მ²/8854 მ²=0.6

ქ2 მიმღი ტერიტორიისთვის 22430 მ²/8854 მ²=2.5

ქ3 მიმღი ტერიტორისთვის 1771 მ²/8854 მ²=0.2

ავტოსადგომების მინ. რაოდენობა 17600/180=98

დამკვეთი

შ.პ.ს. "კომპანია ჯაროკონი"

ს/კ 200031241

პროექტის სახელწოდება

საკაჭრო ცენტრი

(სარეკონსტრუქციო მოსაპირკეთებელი მასალები)

ქ.თბილისი, სოფ. დიღომი ს/კ 01.72.14.034.753

უფლებრივი ზონირების სავალდებულო რუკა

საპროექტო ორგანიზაცია

შ.პ.ს. "აზიმუთი"

ს/კ 208146095

მის: ვაჟა ფშაველას გამზ. № 70 ბ

ტელ:221111#

www. azimuti.ge

azimuti2012@gmail.com

AZIMUTI LTD

პროექტის: მ. ნაკოლიშვილი

არქიტექტორი: ლ. დანელია

სტადია:პროექტი


ქ. თბილისში, დიდი დიღმის გამოსასვლელთან რუსთაველის შარბათის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება
N
480850
4626050
Q1.00.003
36.00
67.48
14.75
12.00
14.10
99.56
68.20
15.04
7.46
49.89
20.61
12.000
ძველი ვაზიანის ხეობა
სარეკლამო ბანერი
ავტობუსის გაჩერება
ძველი ვაზიანის ხეობა
ფრაგმენტი
ფრაგმენტი
ფრაგმენტი

ქ. თბილისში, დიდი დიღმის მიმოსასვლელთან, რესტორან შარბათის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება



შენიშვნა: დაპროექტებული შენობა წარმოადგენს ერთ მთლიან მოცულობას, შესაბამისად არ არის საჭირო ტერიტორიის დაყოფა საკადასტრო ერთეულებად.

ქალაქგეგმარებითი პარამეტრები განისაზღვრება ერთი მთლიანი მოცულობისთვის ერთ საკადასტრო ერთეულზე დადგენილი პარამეტრებით - სსზ-2.

ტერიტორიის ფართობი	გამოყენების სახეობა	შენობის განთავსების რეჟიმი	შენობის რაოდენობა	პროექტით გათვალისწინებული სართულიანობა
8854 მ²	სავაჭრო ცენტრი	განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი	1	5 მიწისზედა სართული

ფორმატი A3

თბილისი 2020

ექსპლიკაცია

- დაპროექტებული შენობა
- საპროექტო საკადასტრო საზღვრები
- საზოგადოებრივი სივრცე
- UTM სისტემის კოორდინატთა ბადე
- გამწვანება
- მოპირკეთება წყალგამტარი ფილებით

პირ. ნიშნები

კ1 მთელი ტერიტორიისთვის 4860 მ²/8854 მ²=0.6

კ2 მთელი ტერიტორიისთვის 22430 მ²/8854 მ²=2.5

კ3 მთელი ტერიტორიისთვის 1771 მ²/8854 მ²=0.2

ავტოსადგომების მინ. რაოდენობა 17600/180=98

დამკვეთი

შ.პ.ს. "კომპანია ჯაოკენი"

ს/კ 200031241

პროექტის სახელწოდება

სავაჭრო ცენტრი (სარემონტო-მოსაპირკეთებელი მასალები)

ქ.თბილისი, სოფ. დიღომი ს/კ 01.72.14.034.753

შენობის განთავსების გეგმა

საპროექტო ორგანიზაცია

შ.პ.ს. "აზიმუტი"
ს/კ 208146095
მის: ვაჟა ფშაველას გამზ. № 70 ბ
ტელ:2211110
www.azimuti.ge
azimuti2012@gmail.com

AZIMUTI LTD

პროექტის ავტორი: ლ. ნიკოლეიშვილი

არქიტექტორი: ლ. დანელია

სტადია:არქ.პროექტი

ვპ№15

სიმაღლის განსაზღვრის სქემა — იანგარიშება ფორმულით: H=L/Y =12/0.35=34,2 m.

Y=0.35 დასახლებათა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონებისთვის

განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე /სართულიანობა განისაზღვროს: 5 სრული სართულით მიწის ზევით – სამანქანოები სახურავზე -1 სართულით მიწის ქვევით)

დაპროექტებული შენობის მაქსიმალური სიმაღლე გრუნტის ზედაპირიდან --- 24.75 მ



შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სართულიანობა	5სრული მიწისზედა სართული
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე	25 მ მიწის ზედაპირიდან
მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის ფორმულა	H=L/Y ხხიზ№1 H=12/0.35=34.2 m.
შენიშვნა: შენობის მითითებულ სართულიანობაში არ შედის შენობის სახურავზე ასასვლელი კიბის უჯრედები და ლიფტის შახტის სათავსები (ნამაშენობები)	მინიმალური მანძილი შენობიდან წითელ ხაზამდე ჩაზ. სიგრძის მხარეს --- 12 მ-ია (განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი)

ფორმატი A3

თბილისი 2018

ექსპლიკაცია

- დაპროექტებული შენობა
- გაზონი
- მოპირკეთება წყალგამტარი ფილებით

პირ. ნიშნები

დამკვეთი

შ.პ.ს. "კომპანია ჯაოკენი"

ს/კ 200031241

პროექტის სახელწოდება

სავაჭრო ცენტრი

(სარემონტო-მოსაპირკეთებელი მასალები)

ქ.თბილისი, სოფ. დიღომი
ს/კ 01.72.14.034.753

მაქს. სიმაღლის განსაზღვრის სქემა

საპროექტო ორგანიზაცია

შ.პ.ს. "აზიმუტი"
ს/კ 208146095
მის: ვაჟა ფშაველას გამზ. № 70 ბ
ტელ:2211110
www. azimuti.ge
azimuti2012@gmail.com

AZIMUTI LTD

პრეზიდენტი: ი. ნიკოლეიშვილი

არქიტექტორი: ლ. დანელია

სტადია:არქ.პროექტი



სიერცით-ტერიტორიული რეგლამენტების ცხრილი

შენობის ზონა	ტერიტორიის ფართობი	დაგეგმილი მიწაზე მშენებლობის დაშვებულია	ტერიტორიულ სტრუქტურული ზონირება	საშენებლოდ გამოყენების სტატუსი	გამოყენების ხასიათი	გაყიდვა/ გაქირავება	გაანგარიშებით კ1 კოეფიციენტი	გაანგარიშებით კ2 კოეფიციენტი დაშვებული	გაანგარიშების კ3 კოეფიციენტი	საპროექტოდ გათვალისწინებული ავტოსადგომების რაოდენობა	მაქსიმალური სართულიანობა
სსზ-2	8854 მ²	არახასიათლოსამშენებლო	მეზობელი კარკასი/ პატენტირებული ზონა	საშენებლო	საჯარო ცენტრი	დაშვებულია	0.7	4.6	0.2	126	54 მიწისზედა სართული
		შენობის განთავსების რეჟიმი :		გაანგარიშებით რეგულირება წითელი ხაზი			პროექტით გათვალისწინებული				
							0.6	2.5	0.2		

ფორმატი A3

თბილისი 2018

ექსპლიკაცია

- დაპროექტებული შენობა
- საზოგადოებრივი საქმიანი ზონა 2
- საპროექტო საკადასტრო საზღვრები
- UTM ბადისტების კოორდინატთა ბადე
- გამწვანება
- მოპირკეთება წყალგამტარი ფილებით

პირ. ნიშნები

კ1 მიწილი ტერიტორიისთვის 4860 მ²/8854 მ²=0.6

კ2 მიწილი ტერიტორიისთვის 17600 მ²/8854 მ²=2.0

კ3 მიწილი ტერიტორიისთვის 1771 მ²/8854 მ²=0.2

ავტოსადგომების მინ. რაოდენობა 17600/180=98

დამკვეთი

შ.პ.ს. "კომპანია პაროკნი"

ს/კ 200031241

პროექტის სახელწოდება

საჯარო ცენტრი

(საერთაშორისო-მოსაპირკეთებელი მასალები)

ქ.თბილისი, სოფ. დიღომი ს/კ 01.72.14.034.753

მიწის ნაკვეთის დეტალური რეგლამენტის დოკუმენტი

საპროექტო ორგანიზაცია

შ.პ.ს. "აზიმუთი"
ს/კ 208146095
მის: ვაჟა ფშაველას გამზ. № 70 ბ
ტელ:2211110
www.azimuti.ge
azimuti2012@gmail.com

პროექტირებაზე: თ. ნოქოლეიშვილი

არქიტექტორი: ლ. დანელია

სტადია: პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება - N 20.1114.1372
24 / სექტემბერი / 2020 წ.

„ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის N180-ში, საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N117 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის მოწონების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 2 სექტემბერს N01202462466-67 განცხადებით მიმართა ჯემალ ჯაოშვილმა (პ/ნ 01023001565) და მოითხოვა ,,ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის N180-ში, საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N117 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.753), რომლის ფართობია: 8 854 კვ.მ.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მისედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

,,ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის N180-ში, საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 ივნისის N144 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

,,ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის N180-ში, საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N117 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორია დაყოფა არ არის დაგეგმილი, ვინაიდან, სრულ ტერიტორიაზე განთავსება ერთი შენობა-ნაგებობა, 4 სართულიანი სავაჭრო ცენტრი (სარემონტო, სამშენებლო მასალებისათვის). საპროექტო ტერიტორიას გეგმარებითი დავალებით განესაზღვრა არსებული ფუნქციური ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-სთვის (სსზ-2) კანონმდებლობით დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები: კ-1=0.7; კ-2=4.6; კ-3=0.2; თუმცა საპროექტო შენობის მოცულობიდან გამომდინარე, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით არ არის სრულყოფილად ათვისებული, კერძოდ, კ-1=0.7-ის ნაცვლად განესაზღვრება კ-1=0.6, ხოლო კ-2=4.6 ნაცვლად კი კ-2=2.0.

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით:

სსზ-2 8 854 კვ.მ

კ-1= 0,6 – 4 860 კვ.მ

კ-2=2,0 – 17 600 კვ.მ

კ-3=0,2 - 1 771 კვ.მ

4 სრული სართული + 1 მიწისქვეშა.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მიმდინარეობს საავაჭრო ცენტრის მშენებლობა.

საპროექტო წინადადებით მოთხოვნილია სავაჭრო ცენტის მოცულობის გაზრდა და ერთი სართულის დამატება, რაც იწვევს განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი კ-2=2.0-ის გაზრდას კ-2=2.5-მდე, თუმცა მაინც არ არის ათვისებული სსზ-2-ის სრული სამშენებლო რესურსი კ-2=4.6;

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით:

სსზ-2 8 854 კვ.მ

კ-1= 0,6 - 4 860 კვ.მ

კ-2=2,0 - 22 430 კვ.მ

კ-3=0,2 - 1 771 კვ.მ

5 სრული სართული + 1 მიწისქვეშა.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5^1 პუნქტების შესაბამისად, გაწაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული, ხოლო ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო; ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციულ წარმოებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური სააწგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ვინაიდან, წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტით შემოთავაზებული ცვლილებები არ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტზე და ასევე, მიმდებარედ არსებულ ჩამოყალიბებულ განაშენიანებაზე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმოებაში ჩართვა არ მომხდარა.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა. მათ შორის, ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების

პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი წინადადებით ,,ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის N180-ში, საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N117 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში ცვლილების განხორციელება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ასევე, N01202462466-67 განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს ,,ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის N180-ში, საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N117 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **202028051**
თარიღი: **06/10/2020**
პინი: **7469**

ადრესატი: ჯემალ ჯაოშვილი
პირადი ნომერი: 01023001565
მისამართი: თბილისი გ.ათონელის ქ. N 31

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

განცხადების ნომერი: 01202462466-67
განცხადების თარიღი: 02/09/2020

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.72.14.034.753
- მისამართი :ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 180
- ნაკვეთის დანიშნულება :არასასოფლო სამეურნეო
- მესაკუთრეები : შპს "კომპანია ჯაოკენი"

განმცხადებელი-დამკვეთი :ჯემალ ჯაოშვილი
პირადი ნომერი :01023001565
მისამართი :თბილისი გ.ათონელის ქ. N 31

ნომენკლატურა :განაშენიანების რეგულირების გეგმა განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება /

თქვენი 2020 წლის 2 სექტემბერს N01202462466-67 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის N180-ში, საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ.) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N117 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების საკითხი თანდართული უფლებრივი ზონირების ნაწილით განსახილველად გადაგზავნილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, რომლის 2020 წლის 1 ოქტომბრის N286 განკარგულებით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება ,,ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის N180-ში, საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ.) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N117 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების შეტანის პროექტის დამტკიცების თაობაზე. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნულ N286 (01.10.2020 წ.) განკარგულებას და უფლებრივი ზონირების ნაწილს.

დანართი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N286 (01.10.2020 წ.), უფლებრივი ზონირების ნაწილი.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი